ხაშურის მუნიციპალიტეტის რელიეფის გეომორფოლოგიური შეფასება

ნინო გოგიძე

ელ-ფოსტა: nino.gogidze238@ens.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

ბოლო ასწლეულში, ბუნებრივი ტერიტორიების ათვისების და ანთროპოგენური ტრანსფორმაციის მასშტაბების ზრდის პარალელურად ბუნებრივი კატასტროფებისგან მოსახლეობის დაცვა და ინფრასტრუქტურული ობიექტების უსაფრთხო ფუნქციონირება გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გეოეოკოლოგიური პრობლემა. ეს საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა მე-20 საუკუნის ბოლოს, როდესაც ერთის მხრივ კლიმატის გლობალური ცვლილებებისა და მიწისძვრების გააქტიურების საერთო ფონზე და მეორეს მხრივ ადამიანის ფართომასშტაბიანი საქმიანობის (ხშირად წინდაუხედავი) პრესინგის პირობებში, სტიქიური კატაკლიზმებისაგან გამოწვეული უარყოფითი შედეგები სულ უფრო შეუქცევად ხასიათს იღებს. საქართველოში, რომლის ტერიტორიის 76%-მდე მთიან რელიეფს უკავია, ადამიანის საქმიანობა მიმდინარეობს სტიქიური პროცესებისადმი უკიდურესად მგრძნობიარე გეოგრაფიულ გარემოში და მისი გეოეკოლოგიური გართულებები კრიზისულ მდგომარეობამდეა მისული.

სამაგისტრო ნაშრომი შეეხება ხაშურის მუნიციპალიტეტს, რომელიც გამოირჩევა გეოლოგიური, გეომორფოლოგიური და კლიმატური პირობების მრავალფეროვნებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ბოლო პერიოდში გააქტიურებული სხვადასხვა სტიქიური პროცესი, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობების შემცირება, ეროზიული, მეწყრულ-გრავიტაციული და ღვარცოფული პროცესების განვითარება, წარმოადგენენ სწორედ ერთ-ერთ ნათელ მაგალითს, თუ როგორ შეიძლება ადამიანის უხეშმა და არასწორმა ჩარევამ ბუნებრივ გარემოში და ასევე, ანთროპოგენური ტრანსფორმაციის გაძლიერებამ გამოიწვიოს გეოეკოლოგიური

მდგომარეობის გაუარესება.